საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2994
29/06/2022

2994-21-2-202206291211

შპს „მეეკს“
მის: ქ. ნინოწმინდა, სოფ. სათხა
ელ.ფოსტა: kimkosyan@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №2242 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ახალქალაქში, შაუმიანის ქ. №1-ში, ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი/დაზუსტებული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები (shp-ფაილთან ერთად);
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს მდ. ფარავანზე, მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს სანიაღვრე წყლების მართვის საკითხი;
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების გასაცემი სვეტების განთავსების ადგილის გადახურვისა და ნავთობპროდუქტების რეზერვუარების სასუნთქი სარქველების პარამეტრების (სიმაღლე, დიამეტრი) შესახებ ინფორმაცია;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას წყლის მოხმარებისა და ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ ინფორმაცია;
- დოკუმენტის თანახმად, „ავტოგასამართი სადგურის ზემოქმედების ზონაში ანალოგიური ტიპის საწარმო არ ფუნქციონირებს, ამიტომ კუმულაციურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება“. თუმცა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ ობიექტიდან დაახლოებით 90 მეტრის დაშორებით მდებარეობს სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“, ხოლო 430 და 470 მეტრში - შპს „მეეკის“ ავტოგასამართი სადგურები. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში შეფასებული უნდა იქნეს კუმულაციური ზემოქმედება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო